ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

სპეციალისტების უმრავლესობა თანამედროვე ჩოგბურთის დასაბამად მიიჩნევენ 1873 წელს, როცა დიდ ბრიტანეთის კავალერიის მაიორმა უოლტერ უინგფილდმა ახალი თამაშის წესები გამოაქვეყნა. ჩოგბურთი, რომელსაც გამომგონებელმა „სფერისტიკა“ უწოდა რამდენიმე სხვადასხვა თამაშის პრინციპებს ეფუძნებოდა. 1877 წლის 9 ივნისს ლონდონში ჩატარდა პირველი საჩოგბურთო ტურნირი, რასაც შემდგომში უიმბლდონი ეწოდა.

ჩოგბურთი საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს გამოჩნდა როცა ინგლისური ფირმის მმართველმა ჯონ ტარსეიმ ჭიათურაში ეს ახალი თამაში შემოიტანა. როგორც გამოჩენილი ჩოგბურთელი და პედაგოგი იან ჰომერი თავის მოგონებებში სწერს საჩოგბურთო სანახაობას წერეთლების ოჯახი და თვით აკაკი ადევნებდნენ თვალს. ჭიათურიდან ჩოგბურთის გავრცელება მოხდა თბილისსა და ბათუმში.

50-ან წლებამდე საქართველო, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირი საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებას მოწყვეტილი იყო. მიუხედავათ ყველაფრისა ქართული სპორტი მაინც ვითარდებოდა და ჩვენმა სპორტსმენებმა, მათს შორის ჩოგბურთელებმა, შთამბეჭდავი გამარჯვებები მოუტანეს ქვეყანას. 1991 წელს საქართველოს საჩოგბურთო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა შეიქმნა ჩოგბურთის დამოუკიდებელი ფედერაცია. 1993 წელს ჩვენმა ჩოგბურთელებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატში.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მთაწმინდის მთვარე“:

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი

ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!

მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით

მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე...
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!

აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,

ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული...

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,

თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები;

თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,

თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა;

რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე.

რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,

რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. ლექსის მიხედვით, რა არის პოეტის შთაგონების წყარო?

ა) მთვარიანი ღამე.
ბ) მოელვარე მტკვარი.
გ) მსუბუქი სიზმარი.
დ) ცისფერი ლანდები.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 3. რა მხატვრული საშუალებაა: *„მთვარე თითქოს ზამბახია“*?

ა) გაპიროვნება.
ბ) ეპითეტი.
გ) მეტაფორა.
დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 4. ლექსის კონტექსტის მიხედვით, რის სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ ქნარი?

ა) გარდაცვალების.
ბ) უკვდავების.
გ) შემოქმედების.
დ) წუთისოფლის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 5. რაზე მიანიშნებს გალაკტიონი მკითხველს სიტყვებით: *„ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...“*?

ა) ბარათაშვილის საფლავიც მთაწმინდაზე უნდა იყოს.
ბ) ბუნებაში ხეტიალი პოეტურ აღმაფრენას თრგუნავს.
გ) თავს ბარათაშვილის სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევს.
დ) სულიერი ობლობით მხოლოდ პოეტები იტანჯებიან.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 6. რას გამოხატავს სიტყვები: *„ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“*?

ა) ადამიანის სამყაროსთან დაპირისპირებას.
ბ) პოეტის ბუნებასთან თანაზიარობას.
გ) შემოქმედის მძიმე სულიერ მდგომარეობას.
დ) ხელოვანის განუსაზღვრელ ამბიციას.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]

(1) 7. რას ადარებს პოეტი საკუთარ თავს?

ა) ზამბახისფერი მთვარის შუქის მკრთალ მძივს.
ბ) ოცნებათა ზღვაში გაშლილ ლურჯ იალქანს.
გ) სიკვდილის წინ მომღერალ სევდიან გედს.
დ) ხეების ტოტებში ჩაქსოვილ ცისფერ ლანდს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 8. რა მხატვრული საშუალებაა: *„ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული...“*?

ა) ალიტერაცია.
ბ) გაპიროვნება.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 9. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში:

„თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები...“?

ა) ირეალური სამყარო ხელოვანის ისედაც მგრძნობიარე ბუნებას კიდევ უფრო მეტად თრგუნავს.
ბ) ოცნებებით შექმნილი წარმოსახვითი სამყარო შემოქმედს რეალურ ყოფას უფრო აშორებს.
გ) ოცნებებით შექმნილ წარმოსახვით სამყაროში ხელოვანი უსაზღვრო თავისუფლებას შეიგრძნობს.
დ) უცნობ ადგილებში მოგზაურობა შემოქმედს სამყაროს სიღრმისეულ აღქმაში ეხმარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 10. ლექსის კონტექსტის მიხედვით, როგორ შეიძლება გავიგოთ პოეტის სიტყვები: *„სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა...“*?

ა) გარდაცვალება ჭეშმარიტი შემოქმედისათვის უკვდავების დასაწყისია.
ბ) მომაკვდავი ადამიანის სითამამე მოჩვენებითი მხნეობის გამოხატულებაა.
გ) სიკვდილი ადამიანს ამქვეყნიური არსებობის შეცნობაში ეხმარება.
დ) სიკვდილის სიახლოვე ხელოვანს უიმედობის განცდას უმძაფრებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 11. **რის თქმა სურს ავტორს სტრიქონით:** *„რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...“*?

ა) დრო რჩეულ ქართველ შემოქმედთა მემკვიდრეობას ვერასდროს გააფერმკრთალებს.
ბ) პოეტის შემოქმედება დიდ ქართველ მწერალთა ნააზრევის გვერდით დაიმკვიდრებს ადგილს.
გ) პოეტის შემოქმედების სიდიადეს მხოლოდ საუკუნეების შემდეგ გაიაზრებენ მკითხველები.
დ) უკვდავების სურვილი შემოქმედს წინაპრებთან მეტოქეობის წადილს უმძაფრებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. საკუთარი შესაძლებლობების რწმენა ადამიანს დიადი მიზნების დასახვაში ეხმარება.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნიკოლოზ გაბაონის რომანიდან „აივნიანი ქალაქი“:

თერძის გოგო იმ დროს თოთხმეტი წლის იყო, ტანმორჩილი და გამხდარი. სახელად ლიზა ერქვა. ისეთნაირი შავი იყო, ისეთნაირად ყარაჩი, რომ ტოლები მეტსახელად თეთრ ლიზას ეძახდნენ... სამაგიეროდ, ამ ულამაზო გოგოს მშვენიერი ხმა ჰქონდა. ათასნაირი სიმღერა იცოდა, ხუმრობა, სიცილი და ლაპარაკი უყვარდა. ყოველ ლხინში მას აკვრევინებდნენ ხოლმე დაირას...

თეთრი ლიზა თერძის პატარა ქონების და დუქნის ერთადერთი მემკვიდრე იყო. დუქანი იმას დარჩებოდა, ვინც თერძის სიძე გახდებოდა. შეგირდმა ფირუზამ სწორედ ამას მიაქცია ყურადღება და გუნებაში თერძის ქალის ცოლად შერთვა გადაწყვიტა... ყოველ ცისმარე დღეს ფირუზა ოსტატის ადგილის დაჭერას და მისი დუქნის დაპატრონებას ოცნებობდა. მოსვენება დაკარგა... თერძის გოგოს ხან წინ დაუდგებოდა და მდაბლად თავს დაუკრავდა, ხან შორიდან უყურებდა და თვალს არ აშორებდა. და რაკი თეთრმა ლიზამაც შეამჩნია და მიხვდა, რომ ის მასხრული გარეგნობის ბიჭი შორიდან მეარშიყებაო, გაიპრანჭა... ხან აივანზე იდგა, ხან ფანჯრიდან იყურებოდა, ხან კიბის მოაჯირზე იყო გადმოყუდებული, რომ იმ მწითურ ბიჭს დაენახა...

ფირუზა მაჭანკალს დაეძებდა, რათა ოსტატთან მიეგზავნა და ქალის ხელი ეთხოვნა, მაგრამ ბედმა უმუხთლა და თავი ციხეში ამოაყოფინა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ერთ ღამეს ამხანაგებმა ძალზე მთვრალი ოსტატი მოიყვანეს. თერძი გაჭირვეულდა და დუქანში მოინდომა ღამის გათენება. დუქანში ღამღამობით ახლა ფირუზას ეძინა. მან მთვრალი ოსტატი თავის ლოგინში მოასვენა, თვითონ კი გათენებამდე ფხიზლობდა. დილით, გამოღვიძებისთანავე, ოსტატმა ჯიბეები მოიჩხრიკა, ფერმა გადაჰკრა და ყვირილი მორთო: „თეთრით გატენილი ქისა დავკარგეო“. „სად დაკარგეთო?“ – მიამიტად ჰკითხა ფირუზამ. „წუხელ აქ რომ ვწვებოდი, კარგად მახსოვს, ჯიბეში მედო, ახლა კი არსად ჩანსო“. ყვიროდა ოსტატი და თან იჭვნეულად ათვალიერებდა ფირუზას, რომელსაც ფერ-ფური მისდიოდა და გულუბრყვილოდ იძახდა: „წუხელის პირში ენა არ გედგათ, ისეთნაირად იყავით მთვრალი და ალბათ ჯიბგირებმა ამოგაცალესო“. ოსტატმა პოლიციას დაუძახა და ფირუზა დააჭერინა.

თეთრ ლიზას მეხი დაეცა. ატირდა და აქვითინდა. დღედაღამ ცრემლშეუშრობლად ტიროდა. გამწარებული ქალი ღვიძლ მამას გულქვას და ცილისმწამებელს უწოდებდა. თეთრი ლიზა დარწმუნებული იყო, რომ მისი მიჯნური უდანაშაულოდ იტანჯებოდა მეტეხის ციხეში. მეზობლებში სულ ალალმართალ ფირუზაზე ლაპარაკობდა, მამას სწყევლიდა, ტიროდა და მოთქვამდა. მეზობელი გოგოები აშოშმინებდნენ და არიგებდნენ, მაგრამ მის გულს ნუგეში არ ეკარებოდა. ყოველდღე ციხის წინ იდგა, რათა რკინისგისოსიან სარკმელში როგორმე ფირუზასთვის მოეკრა თვალი.

თეთრმა ლიზამ იცოდა, რომ გაბოროტებული მამა ადვილად დაამტკიცებდა ფირუზას დანაშაულს. მოსამართლეები დაუჯერებდნენ, ფირუზას ქისის მომპარავად ჩათვლიდნენ და დიდი ხნით ციხეში გამოამწყვდევდნენ. ამ შერცხვენის შემდეგ ფირუზა როგორღა გამოჩნდებოდა ხალხში ან თეთრი ლიზა რა პირითღა გაჰყვებოდა მას ცოლად? თერძის ქალმა ბევრი იფიქრა და ბოლოს ერთი ოინი მოიგონა. მან მეტეხის ციხესთან კლდეზე მდგარი სახლის მრგვალ აივანს დაადგა თვალი. სახლის პატრონთან ავიდა და შეეხვეწა: „აგრემც ღმერთი გიშველის, ფულს მოგცემ და შენმა გახარებამ, ნება მომეცი ყოველ საღამოს აქ მოვიდე და დაირით ხელში ვიმღერო“. „რაღა ჩემი აივანი ამოირჩიე, გოგო? – ჰკითხა გაკვირვებული სახლის პატრონმა, – განა

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

სასიმღეროდ უკეთესი ალაგები არ არის?“ თეთრ ლიზას ტირილი წასკდა და ტირილით უთხრა: „მინდა ჩემი სიმღერით ჩემი საწყალი ტუსაღი გავართო“.

ყოველდღე, ქუჩებში და აივნებზე ხმაური და ღრიანცელი მიწყდებოდა თუ არა, თეთრი ლიზა დაქირავებულ აივანზე ადიოდა დაირით ხელში და გულისმომკვლელ ბაიათებს მღეროდა. ქუჩაში გამვლელები ცნობისმოყვარეობით ჩერდებოდნენ და აივანზე გადმომდგარი ქალის სიმღერის მოსასმენად გროვდებოდნენ. ციხის რკინის გისოსზე მომდგარი ტუსაღებიც ქალის სიმღერით გულს ირთობდნენ და იოხებდნენ. მათ შორის ფირუზაც იყო. ისიც ჯავრიანი გულით ისმენდა აშუღის სიმღერას, რომელშიაც უიღბლო სატრფო ცხარედ მოთქვამდა თავის უნუგეშო სიყვარულს. ეს ამბავი თერძს მიუტანეს. თერძი საშინლად განრისხდა, შინაურები მილანძღ-მოლანძღა: „ქალს თავი ვერ დაუჭირეთო“, შინ დაბრუნებულ ქალს სცემა და დაემუქრა: „კარგად ვიცი, ვისთვისაც მღერიხარ და თუ შენსას არ დაიშლი, მოვიცლი, მოგივარდები და იმ აივნიდან თმებით ჩამოგათრევო“. მამა ქალს ოთახის კარს უკეტავდა, მაგრამ მოხერხებული თეთრი ლიზა ფანჯრიდან გადმოდიოდა და ფოსტლების ფრიალით თევზის აღმართისკენ გარბოდა. თერძს გაკვირვებისაგან პირი ღია რჩებოდა: „ეგ ალქაჯი დაკეტილი ოთახიდან როგორ გადმოდისო“. ხელებს ასავსავებდა. ლანძღვა-გინებით თვითონაც ციხისკენ გარბოდა და როცა ის მრავალაივნიანი სახლის კიბეებზე ხვნეშით ადიოდა, გაფრთხილებული თეთრი ლიზა ავლაბრისკენ გარბოდა.

თეთრმა ლიზამ ყველგან, ახლომახლო ქუჩებში სახელი გაითქვა. ყველას მოსწონდა მისი სევდიანი სიმღერები. გულდამწვარი ქალი მხოლოდ სიყვარულს უმღეროდა... ის სიმღერებში ისეთ სიტყვებს აპარებდა, რომლის აზრი მხოლოდ ფირუზას უნდა გაეგო. აშუღურ სიმღერებში მომღერალი ქალი ზოგჯერ ასეთ რამეს გაურევდა ხოლმე: „ჩემს სიმღერას ყური კარგად დაუგდე, საყვარელო! გესმის რასაც გეუბნები? გაიგონე რა გითხარი? ჩემი სიტყვა შენს საშველად არის ნათქვამი. ჩემმა

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

სიმღერამ შენ ციხის კარები უნდა გაგიღოს“. ფირუზა მალე მიხვდა, თუ რისთვის ადიოდა მისი სატრფო მრგვალ აივანზე. მიხვდა და მის ყოველ სიტყვას ბურთივით იჭერდა, ხან ამ სტრიქონში, ხან სიმღერის დასაწყისში, ხან შუაში და ხან ბოლოში გადაკრულად დამღერებული სიტყვებიდან მან შემდეგი უსტარი შეადგინა: „საყვარელო! მსაჯულებთან ასე თქვი: იმ ღამეს, როცა ქისა დაიკარგა, მე ქისის პატრონის ქალის ოთახში ვიყავი, იმის ალერსით გართული, მრცხვენიან, რასაც ვამბობ, მაგრამ რა ვქნა? ქურდობას მაბრალებთ და ციხეში დალპობით მემუქრებით-თქო. ქისას როგორ მოვიპარავდი, როცა ღამე სიყვარულში შემომათენდა-თქო. ამას მეც დაგიმოწმებ და მაგ ტანჯვისგან დაგიხსნი“.

სასამართლოში ფირუზამ სწორედ ისე ილაპარაკა, როგორც თეთრმა ლიზამ დაარიგა. თეთრმა ლიზამაც დაუმოწმა და სახეზე სირცხვილის ალმური აუვიდა. თერძი სახტად დარჩა. მოსამართლეებმა და სასამართლოში მყოფმა მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ. თერძი რაღას იზამდა? სასამართლომ ფირუზა უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა. თავგზადაკარგული თერძი უწმაწურად იგინებოდა, ქალი ლანძღვით სახლიდან გააგდო, თავის დუქნიდან კარში აღარ გამოდიოდა და წუწუნებდა: „საკუთარმა ქალმა საქვეყნოდ შემარცხვინა და ქუდი მომხადაო“.

ფირუზამ და თეთრმა ლიზამ ქალაქგარეთ, წმინდა ბარბარეს ეკლესიაში იქორწინეს, კუკიაზე, წისქვილებთან ოთახი დაიქირავეს და ერთად ცხოვრებას შეუდგნენ.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. როგორ წარმოაჩენს ავტორი ლიზას პირველ აბზაცში?

ა) როგორც ხალისიანსა და გულღიას.

ბ) როგორც საზრიანსა და წინდახედულს.

გ) როგორც სევდიანსა და გულჩათხრობილს.

დ) როგორც გულუბრყვილოსა და მეოცნებეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 3. ფირუზას რა თვისება ჩანს მის გადაწყვეტილებაში, თერძის ქალიშვილი ცოლად შეირთოს?

ა) კეთილშობილება.
ბ) გამბედაობა.
გ) ანგარება.
დ) პირმოთნეობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 4. რატომ წყევლიდა ლიზა მამას?

ა) მისი გულგრილობისა და დაუფიქრებლობის გამო.
ბ) მისი ეჭვიანობისა და წინდაუხედაობის გამო.
გ) მისი სისასტიკისა და უსამართლობის გამო.
დ) მისი სიძუნწისა და თვალთმაქცობის გამო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 5. რატომ ეშინოდა ლიზას სასამართლოს გადაწყვეტილებისა?

ა) მოსამართლეს ლიზას მამის ვალი ჰქონდა და ფირუზას გაამტყუნებდა.

ბ) ფირუზა დამნაშავე იყო და სასამართლოზე ეს ადვილად გამომჟღავნდებოდა.

გ) სასამართლო ლიზას მამას უფრო დაუჯერებდა, ვიდრე საწყალ ფირუზას.

დ) ფირუზა მორიდებული იყო და სასამართლოზე თავის დაცვას ვერ მოახერხებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 6. ლიზამ *„მეტეხის ციხესთან კლდეზე მდგარი სახლის მრგვალ აივანს დაადგა თვალი“*. **რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში სიტყვები:** *„დაადგა თვალი“*?

ა) აითვალწუნა.
ბ) შეარჩია.
გ) შეათვალიერა.
დ) ამოიჩემა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 7. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: *„ადიოდა დაირით ხელში და გულისმომკვლელ ბაიათებს მღეროდა“*?

ა) ალუზია.

ბ) გაპიროვნება.

გ) ეპითეტი.

დ) შედარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 8. ლიზას რა თვისება ჩანს ფრაზაში: *„ისეთ სიტყვებს აპარებდა, რომლის აზრი მხოლოდ ფირუზას უნდა გაეგო“*?

ა) გულმოწყალება.
ბ) მოხერხებულობა.
გ) გულუბრყვილობა.
დ) სამართლიანობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 9. **რატომ** *„იჭერდა“* **ფირუზა ლიზას** *„ყოველ სიტყვას ბურთივით“*?

ა) იგრძნო, რომ ლიზას სიყვარული გულწრფელი და სპეტაკი იყო.
ბ) ივარაუდა, რომ ლიზას წინაშე თავის დანაშაულს გამოისყიდდა.
გ) მიხვდა, რომ მისი გადარჩენა ამ სიტყვებზე იყო დამოკიდებული.
დ) იფიქრა, რომ ამ სიტყვებს ლიზას წინააღმდეგ გამოიყენებდა.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე]

(1) 10. რატომ აუვიდა ლიზას სასამართლოზე სირცხვილის ალმური?

ა) ფიქრობდა, რომ მისი საქციელის გამო ღირსება შეელახებოდა.
ბ) ეჭვობდა, რომ მოსამართლეთა დასაცინი გახდებოდა.
გ) ვარაუდობდა, რომ ფირუზას უხერხულ დღეში ჩააგდებდა.
დ) განიცდიდა, რომ თავისი საქციელით მამას შეურაცხყოფას აყენებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 11. რა აზრია გამოხატული ბოლო ორ აბზაცში?

ა) ლიზამ მიაღწია, რომ განრისხებული მამა სახლიდან გაეძევებინა.
ბ) ლიზამ დასძლია მამის წინააღმდეგობა და ბედნიერებას ეწია.
გ) ლიზამ საზოგადოების წყრომა გამოიწვია, თუმცა მიზანს მიაღწია.
დ) ლიზამ სასამართლოც და ფირუზაც მოხერხებულად გააცურა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. ბედნიერების მისაღწევად ზოგჯერ ადამიანები ახლობლების წინააღმდეგ წასვლასაც კი არ ერიდებიან.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.